ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3757976

ნომერი: AR1566099

თარიღი : 20.12.2017

გაცემის თარიღი : 27.12.2017

გაცნობის თარიღი : 10.01.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 38 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა გორგაძე პ/ნ 01003019092
- საქართველო, ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, IVბ მიკრო/რაიონი, კორპუსი 33, ბინა 53

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
თქვენ დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე 2015 წლის 28 ოქტომბრის №2266612 გადაწყვეტილებით გაიცა წერილობითი დასტური აღნიშნული ღობის დემონტაჟთან დაკავშირებით, ხოლო წარმოდგენილი ფოტომასალაზე დაყრდნობით სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელებულია ნაწილობრივ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა განაცხადი დაყენებულ იქნას 2015 წლის 28 ოქტომბრის №2266612 გადაწყვეტილების კორექტირების კუთხით და თქვენ მიერ ამჟამად მოთხოვნილი სამუშაოები გათვალისწინებულ იქნას შესაბამისი განცხადებით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა არსებული ღობის რეკონსტრუქციის კუთხით.
აქვე გათვალისწინებულ იქნას:
- სამსახურს უნდა მომართოს საპროექტო მიწის ნაკვეთის მესკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისი მინდობილობა ან შპს ჯეოსპორტის დირექტორი, მიხეილ ზვიადაძე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.